პროლეტარელნო, უფელა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

 კვირა, 14 მარტი, 1943 წ. № 61 (6686). ფასი 20 კაპ.

შური ვიძიოთ ფაშისტ მტვარვალებზე!

კიდევ ერთი შავბნელი ფურცელი ჩაიწერა იმ საზარელი მხეცობის დანაშაულებრივ ნუსხაში, რასაც გერმანელი ფაშისტი ავაზაკები სჩადიან ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი მოსახლეობისადმი. დღეს „პრავდაში“ დაბეჭდილია საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობა ჰიტლერელი კაციჭამიების მიერ დონის როსტოვში ჩადენილი მხეცობის შესახებ.

როსტოვის მუშების, მოსამსახურეების, ინტელიგენციისა და წითელი არმიის წარმომადგენელთა მიერ შედგენილი აქტი შეიცავს იმ ფაქტების აღწერას, რომელთაგანაც ადამიანს ტანში ჟრუანტელი უვლის. საშინელია მცხოვრებთა იმ მასობრივი მკვლელობის სურათი, რაც გერმანელებმა მოახდინეს ქალაქში შესვლისას. არასრული ცნობებით, გაჟლეტილ იქნა 15-18 ათასი კაცი. ჯალათები ხვრეტდნენ დიდებს, სწამლავდნენ ბავშვებს. მკვლელობა არ შეწყვეტილა ოკუპაციის მთელი დროის განმავლობაში. წითელი არმიის ნაწილებმა რომ როსტოვიდან გარეკეს ჰიტლერელები, ქალაქის საპატიმროს ეზოში აღმოჩენილ იქნა 1.154 გვამი, მათ შორის 122 გვამი ქალისა და 57 ბავშვისა. სწორედ გაქცევის წინ გერმანელებმა როსტოვის 135 მცხოვრები მოჰკლეს საპატიმროში. გვამებს საშინელი წამების კვალი ატყვია.

გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა მცხოვრებთა ნაწილი გაჟლეტეს, ხოლო ნაწილი გერმანიაში გაირეკეს მონებად.

ჰიტლერელები ხალხს ხოცავდნენ და ქალაქს ანადგურებდნენ. ისინი ამას მოფიქრებით, სისტემატურად, გეგმაზომიერად, მეთოდურად სჩადიოდნენ. როსტოვი მათ შეგნებულად დაანგრიეს იმისათვის, რომ ბარბაროსულად გაენადგურებინათ მთელი საბჭოთა კულტურა, იმ მიზნით, რომ აღმოეფხვრათ რუსი ხალხის შრომის მთელი ნაყოფი.

ქალაქს ანადგურებდნენ ცეცხლისწამკიდებელ მესანგრეთა სპეციალური რაზმები. აფეთქებულია არა მარტო სამხედრო მნიშვნელობის ობიექტები, არა მარტო ქარხნები, არამედ კომუნალური საწარმოებიც, კვების პროდუქტების ფაბრიკებიც. ქალაქი უსინათლოდ, უსათბობოდ, უწყლოდ დასტოვეს. გერმანელი ბარბაროსები განსაკუთრებული გაშმაგებით სპობდნენ სკოლების, ინსტიტუტების, საავადმყოფოების (ავადმყოფებიანად), მუზეუმების, ბიბლიოთეკების შენობებს. მათ დასწვეს საოლქო სახელმწიფო ბიბლიოთეკის 2.000.000-ზე მეტი წიგნი.

საბჭოთა მშვიდობიან მცხოვრებთა მასობრივი მკვლელობა, საშინელი წამება, ქალაქის განადგურება, მოსახლეობის მონებად წაყვანა—ყოველივე ეს ქალაქის კომენდანტმა, გენერალ-მაიორმა კიტელმა მოაწყო. ჯალათი და მისი თანამზრახველნი ვერ გაექცევიან მისაზღვეველს. მაგრამ კიტელის მიერ როსტოვში ჩადენილი ბოროტმოქმედება მხოლოდ ერთ-ერთი რგოლია იმ გიჟური, მხეცური პროგრამის შესრულებისა, რომლის მიზანია გასწყვიტონ საბჭოთა ხალხი, დაანგრიონ მისი კულტურა დროებით დაკავებულ ყველა საბჭოთა რაიონში. ამ პროგრამის ავტორია ჰიტლერი. მას ეკუთვნის სიტყვები: „ჩვენ მოვსპობთ რუსეთს, რათა იგი ვერასოდეს ვეღარ აღსდგეს“.

ვერასოდეს ვეღარ აღსდგებიან ის მილიონობით ჰიტლერელები, რომელნიც წითელმა არმიამ გასწყვიტა. ვერასოდეს ვეღარ აღსდგებიან ის გერმანელები, რომელნიც ცდილობენ მოსპონ რუსეთი!

ჰიტლერულ პროგრამას, ისევე დანაშაულებრივს, როგორც უაზროს, ფაშისტი მტარვალები ასრულებენ ყველა ქალაქსა და სოფელში, რომლებიც დროებით ჩაუვარდათ მათ კლანჭებში. გერმანიის 337-ე ქვეითი დივიზიის მეთაურმა ბრძანება გამოსცა: თუ იძულებული გახდებით უკან დაიხიოთ, დაკავებული პოზიციებიდან, „დასწვით ყველა დასახლებული პუნქტი და მოსპეთ ყოველივე, რის მოსპობაც კი შეიძლება. დასატოვებელი ქალაქებისა და სოფლების სამოქალაქო მოსახლეობა ძალით გარეკეთ ზურგში. ვინც წინააღმდეგობას გასწევს, დაუნდობლად მოსპეთ“.

ამგვარი ბრძანებები პუნქტუალურად სრულდება. გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა მათ მიერ დაწყებული ყაჩაღური ომის პირველი დღეებიდანვე დაანახვეს მსოფლიოს, რომ მათ განზრახვა არა აქვთ დაიცვან საერთაშორისო ხელშეკრულებანი და ომის წარმოების წესები, რომელთა დაცვაც იკისრა გერმანიამ, ისევე როგორც სხვა სახელმწიფოებმა. ყოველივე ეს ფაშისტმა არამზადებმა აშკარად გასთელეს.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის 1941 წლის 25 ნოემბრის და 1942 წლის 6 იანვრისა და 27 აპრილის ნოტებში პასუხისმგებლობა საბჭოთა სამხედრო ტყვეების მიმართ გერმანელ ხელისუფალთა მიერ ჩადენილი აღმაშფოთებელი მხეცობისათვის, გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა საშინელი ბოროტმოქმედებისა, მხეცობისა და ძალმომრეობისათვის, რაც მათ ოკუპირებულ საბჭოთა რაიონებში ჩაიდინეს, საყოველთაო ძარცვა-გლეჯისათვის, მოსახლეობის აწიოკებისათვის ეკისრება ჰიტლერულ დანაშაულებრივს მთავრობას.

ჰიტლერელთა ბანდამ მთელი მსოფლიოს წინაშე შეირცხვინა თავი მშვიდობიანი მოსახლეობის საზიზღარი მასობრივი მკვლელობით. საბჭოთა მთავრობა 1942 წლის 14 ოქტომბრის განცხადებაში აღნიშნავდა, რომ ჰიტლერული მთავრობა, რომელიც მხოლოდ უხეშ ძალას სცნობს, „დამხობილ უნდა იქნას თავისუფლებისმოყვარე ხალხების ყოვლისშემშუსვრელი ძალით“, ვინაიდან „მთელი კაცობრიობის ინტერესები მოითხოვენ, რომ რაც შეიძლება მალე და ერთხელ და სამუდამოდ მოეღოს ბოლო იმ თავზეხელაღებულ მკვლელთა ხროვას, რომელსაც ჰიტლერული გერმანიის მთავრობა ეწოდება“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1942 წლის 2 ნოემბრის ბრძანებულებით შექმნილია გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისა და მათი თანამონაწილეების ბოროტმოქმედებათა და მათ მიერ სსრ კავშირის მოქალაქეებისა, კოლმეურნეობებისა, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა, სახელმწიფო საწარმოებისა და დაწესებულებებისათვის მიყენებული ზარალის დამდგენი და გამომკვლევი საგანგებო სახელმწიფო კომისია.

დამნაშავენი სამაგიეროს მიზღვას ვერ გაექცევიან. ეს მათ იციან. ისინი წინასწარ გრძნობენ მოახლოებულ განკითხვის ჟამს. ისინი ახალ სისხლიან ბოროტმოქმედებებს უმატებენ წინანდელ ბოროტმოქმედებათა გროვას, როგორც ბანდიტი, რომელიც გრძნობს, რომ ის სასტიკ სასჯელს თავს ვერ დააღწევს. ეს მოწმობს მათს სიბრაზესა და გაშმაგებას, რასაც იწვევენ ჰიტლერული გეგმების ჩაშლა, დამარცხებანი, უდიდესი განუწყვეტლივ მზარდი ზარალი.

ფაშისტი მტარვალები თვითონ აღიარებენ თავიანთ თავს. ისინი დიდის ამბით გაჰყვირიან თავიანთ „ახალ წესრიგზე“ ევროპაში. ეი იგი—„ახალი წესრიგი“ როსტოვში!

ფაშისტი ბარბაროსები ცდილობენ თავი გაასაღონ „მხსნელებად“ ევროპული კულტურისა, რომელსაც ვითომ ემუქრება ბოლშევიზმი. სძაგელი, საზიზღარი, სულელური სიცრუეა! ნანგრევებად ქცეული დიდი კულტურული საბჭოთა ქალაქი, გაჟლეტილი საბჭოთა ინტელიგენცია, აფეთქებული ინსტიტუტები, სკოლები, მუზეუმები—აი „კულტურის მხსნელ“ ფაშისტთა, ქალაქის ცეცხლწამკიდებელთა, ულმობელ ჯალათთა გასისხლიანებული ხელის ნამოქმედარი.

ულმობელი და სასტიკი შურისძიებისათვის მოგვიწოდებს დანგრეული როსტოვის, მის მცხოვრებთა დასახიჩრებული გვამების, მოწამლული ბავშვების საშინელი სურათი. ულმობელი და სასტიკი შურისძიებისათვის მოგვიწოდებს გერმანულ მონობაში, ფაშისტურ კატორღაში გარეკილი საბჭოთა ადამიანების ხმა.

წითელი არმია გადაიქცა „იმ ძალადობისა და დამცირებისათვის შურისმგებელთა არმიად, რასაც გერმანელი ფაშისტი არამზადები აყენებენ ჩვენს ძმებსა და დებს ჩვენი სამშობლოს ოკუპირებულ რაიონებში“ (სტალინი).

ამსხვრევს რა მტრის შეუპოვარ წინააღმდეგობას, შურისმგებელთა არმია მიდის წინ. გადამწყვეტი იერიშის შემდეგ ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ვიაზმა. კიდევ ერთი საბჭოთა ქალაქი გამოგლეჯეს კლანჭებიდან გერმანელ არამზადებს. კიდევ 9.000 გერმანელი მტარვალი მოსპეს საბჭოთა მეომრებმა.

სამშობლო ღრმა გულისტკივილით გაიგებს ფაშისტი მტარვალების მიერ დონის როსტოვში ჩადენილი მხეცობის ამბავს. მოკლეა მისი განაწყენის მშობლიური წითელი არმიისადმი:

— შური იძიე!

„პრავდის“ მოწინავე, 13/III.

უკანასკნელი ცნობები

თურქეთის მეჯლისის არჩევნების შედეგები

ანკარა, 11 მარტი (საკდესი). თურქეთის პრესა აჯამებს შედეგებს მეშვიდე მოწვევის მეჯლისის არჩევნებისას, რაც 28 თებერვალს შესდგა. ახალი შემადგენლობის მეჯლისში არჩეულია 455 დეპუტატი, რომელთაგან 69 კაცი პირველად არის არჩეული. ახალ დეპუტატთა შორის 23 კაცი სახალხო-რესპუბლიკური პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელებია. 12—სახალხო სახლების ხელმძღვანელი, 9—გადამდგარი გენერალი და უმაღლესი ოფიცერი და სხვები.

თურქეთის პრესის შეფასებით, საარჩევნო კამპანიამ ამომრჩეველთა მნიშვნელოვანი აქტივობის პირობებში ჩაიარა. მაგალითად, გაზეთი „ულუსი“ იუწყება, რომ ანკარაში 68.000 ამომრჩეველიდან 66.000 კაცმა მიიღო მონაწილეობა ხმის მიცემაში.

უელესლის განცხადება ამერიკის შეერთებულ შტატების ფინეთში აკრედიტებული დესპანის შესახებ

ვაშინგტონი, 12 მარტი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოვალეობის აღმასრულებელმა უელესმა, რომელმაც პასუხი გასცა პრესის წარმომადგენელთა კითხვებს იმის შესახებ, დაბრუნდება თუ არა ამერიკის დესპანი შენფელდი ჰელსინკშიო, განაცხადა, რომ ამჟამად არ ისახება არავითარი გეგმები შენფელდის ფინეთში დაბრუნების შესახებ. უელესმა უარი სთქვა კომენტარი გაეკეთებინა ფინეთში არსებული მდგომარეობისათვის.

შენფელდი 6 იანვარს დაბრუნდა ფინეთიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში. სახელმწიფო მდივანმა ჰელმ, რომელმაც 24 იანვარს პასუხი გასცა პრესის წარმომადგენლების კითხვებს, განაცხადა, შენფელდი, ალბათ, ჰელსინკში დაბრუნდებაო.

ჰიგლერული პრესა გერმანიის ქალაქების დაბომბვის შესახებ

ლონდონი, 13 მარტი (საკდესი). როგორც აფის საგენტის სტოკჰოლმელ კორესპონდენტი აღნიშნავს, ნიურნბერგისა და მიუნხენის დაბომბვის შემდეგ გერმანულმა გაზეთებმა ღმუილი ატეხეს იმის გამო, რომ „ინგლისელები და ამერიკელები ახლა სერიოზულ განზრახვას იჩენენ სისტემატურად დაბომბონ ყოველივე გერმანიის ქალაქები“. შვედურ გაზეთ „სტოკჰოლმს ტიდნინგენის“ ბერლინელი კორესპონდენტი სწერს, რომ გერმანული პრესა სრულიად საფუძვლიანად ეკითხვას იძლევა: „ამის შემდეგ რომელ ქალაქს დაბომბავენო?“ ჰიტლერული გაზეთი „მიუნხენერ ნოიესტე ნახრიხტენი“ სწერს: „გერმანიის ყოველმა ქალაქმა შეიძლება განიცადოს ისეთივე დაბომბვა, როგორიც მიუნხენმა განიცადა, ახლა ომს საფრთხე მოაქვს ყოველი ქალაქისათვის და ყოველი პუნქტისათვის, სადაც გერმანელები იმყოფებიან. გერმანიის ხალხის წინააღმდეგობა მით უფრო ძლიერი უნდა იყოს, რომ გერმანელებს არ შეუძლიათ დაბომბონ ინგლისის ქალაქები, რადგან გერმანიის ავიაცია სხვა ფრონტებზეა დაკავებული“.

მოსკოვი, კრემლი

ამხანაგ სტალინს

ჩვენო შობლიურო იოსებ ბესარიონის-ძევ!

ასრულებდა რა თქვენს ბრძანებას სსრ კავშირის მოქალაქეთა საყოველთაო სავალდებულო სამხედრო სწავლების და წითელი არმიისათვის ღირებული რეზერვების მომზადების შესახებ, მოლოტოვის რაიონის სამხედრო კომისარიატის ჩვენმა სამხედრო-სასწავლო პუნქტმა, რომელიც უფის ორთქლმავალსარემონტო ქარხანასთან არსებობს, ერთი წლისა და ხუთი თვის განმავლობაში სამხედრო საქმე შეასწავლა ათასობით მოქალაქეებს, რომელთაგან ბევრნი ახლა გერმანელ ფაშისტთა ურდოების წინააღმდეგ იბრძვიან.

წითელი არმიისათვის ჩვენ მოვამზადეთ მსროლელნი, ნაღმმტყორცნელნი, მეავტომატენი, ჯავშანმმტვრეველნი და სნაიპერები.

ამჟამად ჩვენ ვასწავლით მოქალაქეთა ახალ კონტინგენტს.

სიტყვას გაძლევთ თქვენ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, რომ მეთაურთა და პოლიტიკური შემადგენლობა მთელ თავის ძალ-ღონესა და ცოდნას მოახმარს წითელი არმიის კიდევ უფრო სრულფასოვანი შევსების მომზადებას.

წითელი არმიის გმირული შეტევით აღფრთოვანებულმა მებრძოლებმა და მეთაურებმა, წითელი არმიის ძლიერების გასადიდებლად წარმოებაში უკვე შეტანილი 15.000 მანეთის გარდა, სასწავლო პუნქტში შეიტანეს ესკადრილია „ბაშკირეთის კომკავშირელისათვის“—4.200 მანეთი და ახლა შეაგროვეს სატანკო კოლონა „საყოველთაო სამხედრო სწავლების მებრძოლის“ ასაგებად—5.000 მანეთი.

ჩვენ მივმართავთ საბჭოთა კავშირის სამხედრო-სასწავლო პუნქტების ყველა მებრძოლს, მეთაურს და პოლიტმუშაკს—დაიწყონ სახსრების შეგროვება სატანკო კოლონა „საყოველთაო სამხედრო სწავლების მებრძოლის“ ასაგებად და გთხოვთ გაგვიხსნან ანგარიში.

უფის ორთქლმავალსარემონტო ქარხნის სამხედრო-სასწავლო პუნქტის მებრძოლებისა და მეთაურთა და პოლიტიკური შემადგენლობის დავალებით

სამხედრო-სასწავლო პუნქტის მეთაური ს. ლუკინი
სამხედრო-სასწავლო პუნქტის მეთაურის მოადგილე პოლიტნაწილში ბ. სატანოვსკი

უფის ორთქლმავალსარემონტო ქარხნის სამხედრო-სასწავლო პუნქტის მეთაურს ამხ. ლუკინს
მოადგილეს პოლიტნაწილში ამხ. სავანოვსკის

გადაეცით ჩემი საბრძოლო სალამი და წითელი არმიის მადლობა უფის ორთქლმავალსარემონტო ქარხნის სამხედრო-სასწავლო პუნქტის მებრძოლებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს, რომლებმაც შეაგროვეს სახსრები ესკადრილია „ბაშკირეთის კომკავშირელის“ და სატანკო კოლონა „საყოველთაო სავალდებულო სამხედრო სწავლების მებრძოლის“ ასაგებად.

ი. სტალინი

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

13 მარტის დილის ცნობა

12 მარტის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს წინანდელი მიმართულებებით.

* * *

ვიაზმის დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას და მთელი რიგი დასახლებული პუნქტები დაიკავეს. ერთ უბანზე მოწინააღმდეგე, ეყრდნობოდა რა ძლიერ გაბაგრებულ დასაყრდენ პუნქტებს, ცდილობდა შეეჩერებინა საბჭოთა ნაწილების წინსვლა. ჩვენმა მებრძოლებმა გერმანელთა თავდაცვის ხაზს შემოუარეს, და ჰიტლერელებმა გარშემორტყმის მუქარის გამო უწესრიგოდ დაიხიეს უკან. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 400-მდე გვამი და მოწინააღმდეგის მიერ მიტოვებული დიდძალი საჭურველი.

სოფელ კამენკაში ჩვენი მეავტომატეების ასეულმა, უფროს ლეიტენანტ ტესლის მეთაურობით, გაათავისუფლა 1.500 საბჭოთა მოქალაქე, რომლებიც გერმანელებს ახლონახლო სოფლებიდან მოერეკათ. ჰიტლერელები ცდილობდნენ მოესპოთ მშვიდობიანი ადამიანები და უკვე შეუდგნენ მათს დახვრეტას. საბჭოთა მეავტომატეებმა, უეცრად მიიტანეს ცეცხლი გერმანელ ბანდიტებზე, გარდუვალ დალუპვას გადაარჩინეს კოლმეურნენი.

* * *

ქალ. ბელის სამხრეთით ჩვენი ჯარები, სძლევდნენ რა გერმანელთა წინააღმდეგობას, წინ მიიწევდნენ და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. ჩვენი მზვერავების რაზმმა, ლეიტენანტ პეტროვის მეთაურობით, ხელთ იგდო მოწინააღმდეგის საწყობი, რომელშიც იყო 6 მძიმე ქვემეხი, რამდენიმე ათეული ტყვიამფრქვევი, ყუმბარების, ვაზნებისა და სხვადასხვა სამხედრო ქონების დიდი მარაგი.

* * *

ხარკოვის დასავლეთით ჩვენი ჯარები გაფთრებულ ბრძოლებს ეწეოდნენ და იერიებდნენ მოწინააღმდეგის იერიშებს. ჰიტლერელები არ ერიდებიან უდიდეს ზარალს ადამიანებისა და ტექნიკის მხრივ და კვლავ მოისწრაფვიან ქალაქისაკენ. 6 შენაერთის ნაწილებმა ორი დღის ბრძოლაში მოსპეს გერმანელთა 46 ტანკი, 100-ზე მეტი ავტომანქანა და რამდენიმე ათასი ჰიტლერელი. ხარკოვის სამხრეთით 6 შენაერთის მებრძოლებმა დაბრუნეს 13 მარტის განმავლობაში ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ წინანდელი მიმართულებებით.

* * *

12 მარტს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დაზიანეს გერმანელთა სულ ცოტა 10 ტანკი და ჯავშნიანი მანქანა, 100-მდე ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, ჩაანთეს საველე და საზენიტო არტილერიის 6 ბატარეის ცეცხლი, აეფეთქეს მოწინააღმდეგის 2 საწყობი საწვავიანად და საომარ მასალათა 1 საწყობი.

* * *

ვიაზმის დასავლეთით და სამხრეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ წარმატებითს შეტევას და დაიკავეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები, მათ შორის რკინიგზის სადგური უგრა. მტერი შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევს, მაგრამ ჩვენი ნაწილები მას გადამწყვეტი დარტყმებით უკუაგდებენ მის მიერ შექმნილი თავდაცვითი ზღუდეებიდან. ერთ-ერთი დასახლებული პუნქტის, რაიონში განადგურებულია გერმანელთა ერთი ბატალიონი ქვეითი ჯარი. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 400-მდე გვამი. წამოღებულია 6 ქვემეხი, 27 ტყვიამფრქვევი, 9 ნაღმსატყორცნი და დიდძალი საომარი მასალა. წამოყვანილია ტყვეები.

* * *

ხარკოვის რაიონში გრძელდებოდა გაფთრებული ბრძოლები. ქალაქის დასავლეთით მტრის ტანკებისა და ქვეითი ჯარის დიდა ძალებმა მრავალი იერიშის შემდეგ, დიდი ზარალის ფასად, შესძლეს შეეღწიოთ ჩვენი ნაწილები. ჩვენმა ჯარებმა ახალი ზღუდეები დაიკავეს, მოწინააღმდეგის რიცხვობრივად ჭარბი ძალების შემოტევას აკავებდნენ, ჰიტლერელთა იერიშებს იგერიებდნენ და დიდი ზარალი მიაყენეს მათ. გერმანელებს ტანკებისა და მოტოქვეითი ჯარის დიდი ძალებით მოჰქონდათ აგრეთვე იერიშები ქალაქის ჩრდილოეთით. ამ უბანზე გაფთრებული ბრძოლები გრძელდება. ხარკოვის სამხრეთით მოწინააღმდეგის ერთი პოლკი ქვეითი ჯარი და რამდენიმე ათეული ტანკი არაერთხელ გადმოვიდა შეტევაზე. ჰიტლერელებმა 11 ტანკი და 500-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაკარგეს და თავდაპირველ პოზიციებზე დაიხიეს.

* * *

იზიუმის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა მოიგერიეს მოწინააღმდეგის რამდენიმე იერიში და მოსპეს გერმანელთა 6 ტანკი და 200-ზე მეტი ჰიტლერელი. ერთ უბანზე მტრის მეავტომატეთა ჯგუფი ჩვენი ჯარების განლაგებაში შემოიჭრა. 5 ნაწილის მებრძოლები გარს შემოერტყნენ და მოსპეს გერმანელ მეავტომატეთა ეს ჯგუფი.

ჩვენმა მფრინავებმა საპაერო ბრძოლებში ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 9 თვითმფრინავი.

* * *

უკრაინის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა ზიანეს და დასწვეს გერმანელთა 11 ტანკი და გაჟლიტეს 300-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

ორიოლის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა საფრებიდან მოსპო 50-მდე გერმანელი ჯარისკაცი და მოაწყო გერმანელთა სამხედრო ეშელონის მარცხი. სხვა რაზმის პარტიზანებმა ლინდგიდან გადააგდეს მტრის მატარებელი, რომელიც ფრონტის ხაზისაკენ მოდიოდა. მატარებლის მარცხის შედეგად მოკლული და დაჭრილია მრავალი ჰიტლერელი.

* * *

გაფთრებული ბრძოლების შედეგად ჩვენმა ჯარებმა გუშინ დაიკავეს ქალაქი ვიაზმა. ოკუპაციის განმავლობაში და უკანდახევის წინ გერმანელებმა აიოხრეს და მოსპეს ქალაქი. ყველა საბჭოთა სოფელსა და ქალაქში ჰიტლერელები აშკარა ყაჩაღობასა და ძარცვას ეწეოდნენ და ეწევიან. ვიაზმაში ისინი უფრო ეტად ძვინვარობდნენ, ვიდრე სადმე სხვაგან. გერმანელმა ბანდიტებმა გაძარცვეს და მიასპეს ქალაქის ყველა კულტურული დაწესებულება და ისტორიული ძეგლები. ფაშისტმა ბარბაროსებმა გაანადგურეს და დანგრიეს ვიაზმის დრამატიული თეატრი, ქალაქის კინოთეატრი, ვიაზმის მუზეუმი, სანსწავლებლო ინსტიტუტი, კულტურის სახლი, რკინიგზელთა კლუბი, პიონერთა სახლი, ქალაქის საავადმყოფო. უძველესი შენობები, რომლებიც XVIII საუკუნის პირველ ნახევარში იყო აგებული, ნანგრევებად არის ქცეული. გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა დაანგრიეს აგრეთვე ვიაზმის საკათედრო ტაძარი.

* * *

იეგოსლავიელმა პარტიზანებმა დიდი ზარალი მიაყენეს გერმანელებს მლინიშტის რაიონში. ამ რაიონში ოკუპანტებთან უკანასკნელ ხანს წარმოებულ ბრძოლებში იუგოსლავიელმა პატრიოტებმა 200-მდე ჰიტლერელი გაჟლიტეს. სიდლოს და მალი ლოგის მახლობლად მოსპობილია 138 იტალიელი ჯარისკაცი და ოფიცერი. პარტიზანებმა იტალიელ ოკუპანტებს წაართვეს 40 ტყვიამფრქვევი და დიდძალი საომარი მასალა.

13 მარტის საღამოს ცნობა

13 მარტის განმავლობაში ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ წინანდელი მიმართულებებით.

* * *

12 მარტს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დაზიანეს გერმანელთა სულ ცოტა 10 ტანკი და ჯავშნიანი მანქანა, 100-მდე ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, ჩაანთეს საველე და საზენიტო არტილერიის 6 ბატარეის ცეცხლი, აეფეთქეს მოწინააღმდეგის 2 საწყობი საწვავიანად და საომარ მასალათა 1 საწყობი.

* * *

ვიაზმის დასავლეთით და სამხრეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ წარმატებითს შეტევას და დაიკავეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები, მათ შორის რკინიგზის სადგური უგრა. მტერი შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევს, მაგრამ ჩვენი ნაწილები მას გადამწყვეტი დარტყმებით უკუაგდებენ მის მიერ შექმნილი თავდაცვითი ზღუდეებიდან. ერთ-ერთი დასახლებული პუნქტის, რაიონში განადგურებულია გერმანელთა ერთი ბატალიონი ქვეითი ჯარი. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 400-მდე გვამი. წამოღებულია 6 ქვემეხი, 27 ტყვიამფრქვევი, 9 ნაღმსატყორცნი და დიდძალი საომარი მასალა. წამოყვანილია ტყვეები.

* * *

ხარკოვის რაიონში გრძელდებოდა გაფთრებული ბრძოლები. ქალაქის დასავლეთით მტრის ტანკებისა და ქვეითი ჯარის დიდა ძალებმა მრავალი იერიშის შემდეგ, დიდი ზარალის ფასად, შესძლეს შეეღწიოთ ჩვენი ნაწილები. ჩვენმა ჯარებმა ახალი ზღუდეები დაიკავეს, მოწინააღმდეგის რიცხვობრივად ჭარბი ძალების შემოტევას აკავებდნენ, ჰიტლერელთა იერიშებს იგერიებდნენ და დიდი ზარალი მიაყენეს მათ. გერმანელებს ტანკებისა და მოტოქვეითი ჯარის დიდი ძალებით მოჰქონდათ აგრეთვე იერიშები ქალაქის ჩრდილოეთით. ამ უბანზე გაფთრებული ბრძოლები გრძელდება. ხარკოვის სამხრეთით მოწინააღმდეგის ერთი პოლკი ქვეითი ჯარი და რამდენიმე ათეული ტანკი არაერთხელ გადმოვიდა შეტევაზე. ჰიტლერელებმა 11 ტანკი და 500-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაკარგეს და თავდაპირველ პოზიციებზე დაიხიეს.

* * *

ბელგოროდ-ოსკოლის ხაზზე ჩვენ ავანგარდებმა ბრძოლა გაიმართეს ოსკოლ-ბელგოროდ-ხარკოვ-ბელგოროდ-ოსკოლ-ბელგოროდ-ოსკოლ-ბელგოროდ-ოსკოლ

ფრონტიდან

კამინგსი მეორე ფრონტისადმი ინგლისელი ხალხის დამოკიდებულების შესახებ

ლონდონი, 11 მარტი (საკადესი). მიმოხილველი კამინგსი გაზეთ „ნიუს ქრონიკლში“ სწერს, რომ ხარკოვის დასავლეთით საბჭოთა შეტევის შეფერხება და ახალი გაცოცხლება მოწინააღმდეგის მოქმედებისა, რომელიც გააფთრებით ცდილობს კვლავ ჩაგდოს ხელში ეს სტრატეგიულად დიდმნიშვნელოვანი ქალაქი, სასტიკი გახსენებაა იმ ძძიმე პასუხისმგებლობის შესახებ, რაც ახლა აწევთ სსრ კავშირის დასავლეთელ მოკავშირეებს.

„ინგლისში ჩვეულებრივ ადამიანთა—სულ სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენელთა შორის,—სწერს კამინგსი,—ომის თემებზე წარმოებული საუბრობორობა სჯობიანია გორდუვალად ტრიალებს ორი საკითხის ირგვლივ: როდის გაიხსნება მეორე ფრონტი? დროზე მოხდება თუ არა ეს?. ამაზე ლაპარაკობენ ყველგან, და ამ კითხვებს თითქოს ხაზს უსვამს გერმანელთა ძალების ნაწილობრივი აღდგენა სამხრეთ რუსეთში“. „მეორე ფრონტი, აღნიშნავს კამინგსი,—მილიონობით ჩვენი ადამიანის გონებაში გახდა კრიტიკული მნიშვნელობის საკითხი, არანაკლებ მნიშვნელოვანი ჩვენთვის, ვიდრე წითელი არმიისა და რუსეთის ხალხისათვის“.

იდენის ჩასვლა ვაშინგტონში

ვაშინგტონი, 12 მარტი (საკდესი). თეთრმა სახლმა შემდეგი ცნობა გამოაქვეყნა: „ბ-ნი ანტონი იდენი, ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი, ვაშინგტონს ჩამოვიდა ამერიკის მთავრობის მოწვევით. მისი დარბაზობის მიზანია აზრთა საერთო გაზიარება ამერიკის მთავრობასთან ყველა იმ საკითხზე, რომლებიც ომთან არის დაკავშირებული, და განხილვა ყველაზე უფრო მიზანშეწონილი მეთოდისა, რომლითაც უნდა მომზადდეს გაერთიანებული ერთა მთავრობების თათბირები ომთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად. ბ-ნ იდენს განზრახული აქვს აგრეთვე უშუალოდ გაეცნოს ზოგიერთ იმ უდიდეს სამხედრო ღონისძიებათაგანს, რომლებსაც ამერიკის შეერთებული შტატები ახორციელებენ“.

ინგლისის ფეიქიკური მისიის ჩასვლა თურქეთში

ანკარა, 12 მარტი (საკდესი). გუშინ ანკარაში ჩამოვიდა ინგლისის ტექნიკური მისია, რომელსაც მეთაურობს ინგლისის სამხედრო-საჰაერო ძალთა სარდალი ახლო აღმოსავლეთში, ავიაციის მარშალი დუგლასი.

ლონდონი, 12 მარტი (საკდესი). „რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ მისია, რომელსაც ავიაციის მარშალი დუგლასი მეთაურობს, თურქეთის მთავრობასთან ერთად განიხილავს თურქეთისათვის მიწოდებათა საკითხს.

ამერიკის შეერთებული შტატების სენატმა საჭურვლის სესხად ან იჯარით გაცემის კანონის მოქმედების ვადა განაგრძო

ნიუ-იორკი, 12 მარტი (საკდესი). კამათის შემდეგ, რაც სულ 2 საათს გრძელდებოდა, ამერიკის შეერთებული შტატების სენატმა ერთხმად მიიწონა კანონპროექტი საჭურვლის სესხად ან იჯარით გადაცემის კანონის მოქმედების ვადის ერთი წლით განგრძობის შესახებ.

ამის შემდეგ რუზველტმა დაუყოვნებლივ მოაწერა ხელი კანონპროექტს.

ინგლისის ავიაციის თავდასხმა ესენზე

ლონდონი, 13 მარტი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, გუშინ ხალამის ინგლისის ბომბდამშენებმა იერიში მიტანეს ლიეჟის მახლობლად არსებულ დიდ მანქანათმშენებელ და სამხედრო ქარხნებზე. ყველა დაბომბილ ობიექტში აფეთქებები მოხდა.

12 მარტს ღამით ინგლისის ავიაციამ კვლავ მოახდინა მეტად გაფფრთრებული და კონცენტრირებული თავდასხმა ესენზე. მოწინააღმდეგის საზენიტო არტილერიის ინტენსიური ცეცხლის მიუხედავად, დაბომბვამ ფრიად წარმატებით ჩაიარა. წინასწარი ცნობებით, სერიოზულად დაზიანდა კრუპის ქარხნები.

ესენზე თავდასხმიდან თავის ბაზებში არ დაბრუნებულა 23 ბომბდამშენი.

ინგლისის ავიაციის თავდასხმა პალერმოზე

ლონდონი, 13 მარტი (საკდესი). ინგლისის სამხედრო-საჰაერო ძალთა სარდლობის ცნობით, 11 მარტს ღამით მოკავშირეთა საშუალო და მძიმე ბომბდამშენები თავს დაესხნენ პალერმოში მდგომ გემებს და ნავსადგურს.

ინგლისის ავიაციის თავდასხმა ღონდონზე

ლონდონი, 12 მარტი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ 12 მარტს გერმანიის 24 თვითმფრინავი ტემზის შესართავთან რაიონში შეიჭრა. ზოგიერთმა მათგანმა დიდ ლონდონს მიაღწია, სადაც ბომბები ჩაყარეს. ერთმა რეიმ ადგილობრივ ავიაციათა ბაზებზე მიაყენა ზარალი. ერთ-ერთ ადგილობრივ ავიაციათა ბაზებზე ბომბებმა ... ...